№ 222
პარასკევი, 16 ოქტომბერი, 1898 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

ივერია

№ 222
პარასკევი, 16 ოქტომბერი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოლაშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დგან 2-მდე და ნაშუადღევის 5-დგან 7-მდე.
მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—9)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ნ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ყ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.
ი. თ. პრიტასკევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.
ა. ზ. კარაშეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.
ა. გ. გურკო. 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.
საღამოობით:
გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.
ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროთერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.
ნ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ.
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(წ)

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ: პოდპორუჩიკობა—მილიციის პრაპორშჩიკს მურზაყან ლაკერბაიას; და მილიციის პრაპორშჩიკობა-ბათუმის მილიციის იუნკერს დარჩიშბეგ ბეჟანიძეს.

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო ნადვორნი სოვეტნიკობა: ახალციხის მაზრის უფროსის თანაშემწეს თავად აბხაზს, ზუგდიდის მაზრის რედუთ-კალეს საბოქაულო ნაწილის ბოქაულს აგალიანს; ტიტულიარნი სოვეტნიკობა ქუთაისის საგუბერნიო გამგეობის საერობო განყოფილების ბუხგალტერის თანაშემწის აღმასრულებელს ახვლედიანს, ქალაქ ყარსის პოლიციის აფიცერს ოსიტაშვილს, ტფილისის პოლიციის ბოქაულის თანაშემწეს თავ. წულუკიძეს; გუბერნსკი სეკრეტრობა: ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის მოხელეს ასათიანს; ქუთაისის საგუბერნიო გამგეობის კანცელარიის მოხელეს ბაქრაძეს, დუშეთის სამაზრო პოლიციის გამგეობის საქმის მწარმოებელს დაფქვიაშვილს, ზუგდიდის სამაზრო პოლიციის გამგეობის მოხელეს კვარაცხელიას, სენაკის სამაზრო პოლიციის გამგეობის კანცელარიის მოხელეს მაღნარაძეს და ზუგდიდის სამაზრო პოლიციის გამგეობის კანცელარიის მოხელეს დავითაიას; კოლეჟსკი რეგისტრატორობა: ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის მოხელეს კანდელაკს, ტფილისის საგუბერნიო გამგეობის კანცელარიის მოხელეს პეტრიაშვილს და განჯის სამაზრო პოლიციის გამგეობის კანცელარიის მოხელეს თავ. თარხან მოურავს.

გამწესებულ იქმნა ტფილისის ოლქის სასამართლოს კანცელარიის მოხელედ ივანე მიხეილის ძე ნასყიდაშვილი.

ახალი ამბავი

⁂ მათი იმპერატორობითი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე 13 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ საგანგებო მატარებლით ბათუმიდგან ბორჯომში მიბრძანდა. რკინის გზის სადგურზედ დიდს მთავარს მიეგებნენ მათი იმპერატორებითი უმაღლესობანი დიდნი მთავარნი ნიკოლოოზ მიხეილის ძე, გიორგი მიხეილის ძე და სერგეი მიხეილის ძე და სხვანი, დიდი მთავარი მიხეილი ალექსანდრეს ძე სადგურიდგან დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სასახლეში წაბრძანდა.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი, გუშინ წინ, 14 ოქტომბერს, საღამოზედ, ბათუმში წაბრძანდა.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელმა გენერალ-ადიუტანტმა თავ. გ. ს. გოლიცინმა განკარგულება მოახდინა, რომ იუქმონ 17 ოქტომბერი მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის, იმპერატრიცას მარიამ თეოდორეს ასულის და სხვა უავგუსტოეს წევრთა 1888 წელს სად. ბორკას მახლობლად განსაცდელისაგან სასწაულ-მოქმედებით გადარჩენისა გამო.

⁂ ამ რამდენისამე თვის წინად საქართველოს ექსარხოსის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის ფლაბიანეს განკარგულებით შესდგა კომისია, რომელსაც მიენდო იზრუნოს იმის შესახებ, რომ ქართული ენის სწავლების საქმე საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო სასწავლებლებში უკეთ იყოს დაყენებული. კომისიის თავმჯდომარედ არის ყოვლად სამღვდელო გორის ეპისკოპოსი ლეონიდი. კომისიას აზრადა აქვს სთხოვოს ექსარხოსს, რათა უწმ. სინოდის წინაშე შუამდგომლობა იქმნას აღძრული იმის შესახებ, რომ ქართულის ენის გაკვეთილების რიცხვი გამრავლებულ იქმნას ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების სასწავლებლებში, ე. ი. კვირაში 8 გაკვეთილის ნაცვლად, დაწესებულ იქმნას 12 გაკვეთილი, როგორც ეს ამ რამდენისამე წლის წინად იყო.

⁂ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას ამ სეზონისათვის უკვე მიუწვევია ტფილისში მყოფი არტისტები. ამას გარდა ბ-ნი ლასხიშვილი ქუთაისში წავიდა თურმე ზოგიერთ იქაურ არტისტთან მოსალაპარაკებლად და მოსაწვევად. გამგეობას აზრადა აქვს პირველი წარმოდგენა ამ თვის უკანასკნელ რიცხვებში გამართოს.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა, რომ ქალაქის არჩევნებში შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ იმ კაცთ, საზოგადოებათ და ამხანაგობათ, რომელნიც ერთს წელიწადზედ ნაკლები არ არის რაც ამ ქალაქში სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულება დაუარსებიათო.

⁂ კავკასიის ბაღოსანთა პირველ კრებას აზრადა აქვს 20 ოქტომბერს სხდომა ქუთაისში მოახდინოს.

⁂ 12 ოქტომბერს გორში მოხდა ამ ქალაქის საბჭოს რწმუნებულთა არჩევნები შემდეგის 4 წლისათვის. არჩევნებზედ თავმჯდომარეობდა მამასახლისი ი. გ. გულიშამბაროვი. გამოცხადდა 57 ამომრჩეველი. უნდა ამოერჩიათ 15 რწმუნებული. ყუთი 22 კაცმა დაიდგა, თვით გულიშამბაროვმა ყუთის დადგმაზედ უარი განაცხადა. არჩეულ იქმნენ: პოლკოვნიკი თავ. რ. შ. ერისთავი (49 თეთრი), ი. რ. რომანოვი (48 თ.), საპატიო მომრიგებელი მოსამართე თავ. მ. ერისთავი (47 თ.), საპატ. მომრ. მოსამართლე მკურნალი ჩ. რ. მოსტოვიჩი (45 თ.), მ. ხუდადოვ(45 თ.), არქიტექტორი საბო (44 თ.), ა.

ფელეტონი

მატარებლის ქვეშ

ამბავი
სტოქტონისა.

იმ დღეს, რა დღესაც ის ამბავი მოხდა, რომელიც ეხლა უნდა გიამბოთ, მე და მისს ბრისტონმა ძალიან ბევრი ვისეირნეთ. ახლო-მახლო მდებარე მინდვრები და ტყეები თითქმის სულ მოვიარეთ. ბუნების სხვა-და-სხვა სურათებით გატაცებულნი, დაღალულობას ვერც-კი ვგრძნობდით და სიამოვნებით გადავდიოდით ერთის ადგილიდგან მეორეზედ. ბოლოს, როდესაც მშვენიერის სურათების ცქერით საკმაოდ დავტკბით და კარგა დიდ მანძილზედაც დავშორდით სოფელს, მისს ბრისტონმა განაცხადა, რომ ეხლა-კი დროა შინ დავბრუნდეთო. არც მე ვიყავი წინააღმდეგი ბრისტონის აზრისა, ამიტომ ხელად მოვტრიალდით და გავწიეთ სოფელ გემპტონისაკენ, სადაც ჩვენა ვცხოვრობდით.

შარა გზით რომ დავბრუნებულიყავით შორს უნდა მოგვეარა, მაგრამ ამ გზის გარდა სხვა მოკლე გზაც იყო. იქვე მახლობლად შარა გზას გრძელი, იქით-აქედგან კლდეებით აყუდებული, ვიწრო ხევი სჭრიდა, რომლის ძირზედაც რკინის გზა იყო გაყვანილი და მატარებლები დაიარებოდნენ. ხევ ხევ, ამ რკინის გზის ლიანდაგს რომ დავსდგომოდით, გზას შესამჩნევად შევიმოკლებდით. ჩემს თანამოგზაურს ვურჩიე ამ ლიანდაგით წავიდეთ-მეთქი და ისიც დამეთანხმა, იმ პირობით-კი მხოლოდ, დაუმატა, თუ სიტყვას მომცემთ, რომ ხევში მატარებელი არ შეგვეჩეხებაო.

საათს დავხედე.

— უკანასკნელმა მატარებელმა ხუთს საათზედ გაიარა, შემდეგი მატარებელი-კი შვიდზედ ადრე არ გამოივლის; მაშასადამე მაგ მხრივ შეგიძლიანთ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ.

— მაშ კარგი, თანახმა ვარ, წავიდეთ,—მომიგო მისს ბრისტონმა.

ხევის სიგრძე მილის მეოთხედი იქნებოდა. რკინის გზა ერთ-ლიანდაგიანი იყო და გადასახვევ-გადმოსახვევი არსაითა ჰქონდა. ლაპარაკში გართულთ (მხედველობაში იქონიეთ რომ ამ ლაპარაკს ჩემთვის განსაკუთრებული ინტერესი ჰქონდა), უკვე კარგა მანძილი გავიარეთ, როდესაც უცბად მატარებლის სტვენა მოგვესმა და ამასთან ისე მკაფიოდ, რომ მატარებლის სიახლოვეს აშკარა ჰყოფდა. ხელად შევჩერდით და ერთმანეთს შეშინებულის თვალებით შევხედეთ. მისს ბრისტონს ფერი სრულიად დაეკარგა.

— უნდა გავიქცეთ, რაც ძალი და ღონე გვაქვს უნდა გავიქცეთ!—შეჰყვირა იმან.

— მოითმინეთ!—წამოვიძახე და ხელი ვტაცე—არა, ჯერ უნდა გავიგოთ საიდგან მოდის მატარებელი?

— ეგ არ ვიცი... მხოლოდ გაქცევა კი საჭიროა.

მაგრამ მე ისე მაგრა ჩავჭიდე ხელი საწყალ ქალს, რომ გაქცევა არსაით შეეძლო; თანაც ძალა დავატანე გონებას, გამოვეგონა ისეთი რამ, რომ გაჭირვებას ავცდენილიყავით. საქმე ის იყო, რომ არ ვიცოდით საით გავქცეულიყავით. მატარებელს ვერა ვხედავდით და შესაძლებელი იყო წინ შევხეროდით. თუმცა მალ-მალ წინ და უკან ვიყურებოდი, მაგრამ მაინც ვერ გავიგე რომელ მხრიდგან უნდა მოსრიალებულიყო მატარებელი. გზის მარჯვნივ და მარცხნივ ჩამოთლილი მიწა კედელივით იყო აყუდებული. იმაზედ აცოცება ყოვლად შეუძლებელი იყო. მამა-კაცს კიდევ შეეძლო ამ ხიფათს გადარჩენილიყო: კლდეს ზურგით მაგრა მიეკვრებოდა და მატარებელს წინ გაიტარებდა, მაგრამ მისს ბრისტონისათვის ეს საშიში იყო: იმისი მსუბუქი და გაფრიალებული კაბა მატარებელს მოედებოდა და ზედ დაეხვეოდა; გარდა ამისა ვიდრე მატარებელი გაივლიდა ამ საყვარელ ქალს შიშისაგან შეიძლება გონებაც-კი დაეკარგა! რასაკვირველია, ორივენი ახალგაზდები ვიყავით, მუხლი კარგად გვიჭრიდა და გაქცევა შეგვეძლო, მაგრამ, რამდენისამე ვერსის მანძილზედ საგანგებო მატარებლის გასწრება, არამც თუ საეჭვო, ყოვლად შეუძლებელი იყო.

თუმცა ამ აზრებმა ელვასავით გამირბინეს გონებაში, მაგრამ დრო მაინც მიდიოდა და განსაცდელი ყოველ წუთს გვიახლოვდებოდა. შემდეგი ჩემი ფიქრი ის იყო, რომ მატარებელს შევაჩერებ მეთქი. შეიძლება მემანქანემ შეგვამჩნიოს და მატარებელი შეაყენოს. მაგრამ ამას ვერ დავენდობოდით, უნდა სხვა სახსარი რამ გამოგვეგონა. ჩემს აბრეშუმის ცხვირსახოცს, საბედნიეროთ, წითელი არშია ჰქონდა შემოვლებული. გზაზედ გრძელი ტოტი მოვჭერი, ფოთლები ჩამოვათალე და დორას ჯოხათ მივეცი. ეს ტოტი ეხლა გამოგვადგა: ერთ მხარეს ცხვირსახოცი მოვაბი, ხოლო მეორე მხრიდგან რაც შემეძლო მაღლა მიწაში ჩავურჭე. ნიშანი მზად იყო: წითელ არშია შემოვლებულ დროშას ფრიალი გაჰქონდა. იმ მხრით, საითაც ჩვენ მოვედით, გზა დიდს მანძილზედ მოჩანდა. ამ მხრიდგან მომავალი მატარებელი აქამდის გამოჩნდებოდა, აშკარა იყო, რომ იგი მეორე მხრიდგან მოდიოდა და, რადგანაც ხევი უხვევდა, არა სჩანდა.

დორამ შიშისაგან აღარ იცოდა რა ექმნა.

— ნუ თუ აქ უნდა ვიდგეთ და უცადოთ სანამ მატარებელი მოვა და გაგვსრესავს! მე დარწმუნებული ვარ, რომ არ შეაჩერებენ!..—სასოწარკვეთილებით წამოიძახა იმან.

ღვთის წინაშე მეც ძლივს-ღა ვსუნთქავდი: ასე მეგონა, ეს ეს არის მატარებელი გამოისრიალებს და ზედ გადამივლის-მეთქი. მაგრამ ამ დროს მომაგონდა, რომ ხევის ერთს ადგილას, ლიანდაგის ქვეშ, პატარა ანკარა გადის. იქამდის რომ მიგვერბინა თავის შეფარებას მოვასწრობდით. უბედურება ის იყო, რომ საიდგანაც მატარებელი მოდიოდა, იქით უნდა გავქცეულიყავით. მაგრამ მაინც ყველაფერს ეს უკანასკნელი საშუალება ვამჯობინე და ხელი ხელს ჩავლებულნი გავქანდით იქითკენ. იმ წამს რა წამსაც ანკარასთან მივედით, მატარებელმა ერთი საზარლად დაისტვინა და თავი გამოჰყო. ამავე დროს თვალი მოვკარით, რომ ანკარა გადაღობილი იყო და ამიტომ შე-

გარსევანიშვილი (44 თ.), ა. ხუდადოვი (42 თ.), ნ. ჯულაბოვი (42 თ.), მკურნალი ი. ი. საკოვი, (40 თ.), ა. ი. ანდრონიკაშვილი (40 თ.), ა. პ. შიხინაშვილი, (39თ.), გ. დ. ლოლაძე (38 თ.), ს. ზ. გამბაროვი (38 თ.) და რ. ჯულაბოვი (33 თ.). მათ შორის 6 კათოლიკეა, 5 მართლ-მადიდებელი და 4 სომეხ-გრიგორიანი.

⁂ ტფილისის გუბერნიის საპატიმროთა სამზრუნველოს კომიტეტის დედათა განყოფილების თავმჯდომარე კნ. მ. ა. შერვაშიძე გაზ. „კავკასის“ სიტყვით, თავს ანებებს თურმე თავისს თანამდებობას.

⁂ გუშინ, 15 ოქტომბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში დაიწყო კენჭის-ყრა იმ ყმაწვილებისა, რომელნიც წელს სამხედრო ბეგრის გადასახდელად არიან გაწვეულნი. სამხედრო საკრებულოს თავმჯდომარედ დანიშნულ იქმნა ქალაქის მოურავი გ. გ. ევანგულოვი. წევრებად: სამხედრო უწყების მხრივ კაპიტანი ა. ს. ჟლენტი; ქალაქისახმოსნები ა. ი. ოდნოსუმოვი და ი, ს. ბუდდანოვი და პოლიციისა—ა.ა. კუზმინსკი. გაწვეულთა ჯან მრთელობის შესამოწმებლად დანიშნულ იქმნენ მკურნალები: ლ. ნ. ვოიცეხოვსკი და გ. გ. მაღალაშვილი. სიაში 500 კაცზედ მეტია აღნიშნული. ჯარის კაცად-კი წელს უნდა გაიყვანონ 104, მათ შორის 61 ადგილობრივი მკვიდრი.

⁂ „ტფ. ფურ.“-ი სწერს: „კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას ამა მიმდინარე წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი კრება ჰქონდა. ამას გარდა, საზოგადოებაში პროფესორმა ლოკუჩაევმა წაიკითხა ლექცია ნიადაგის შესახებ. ამით თავდება საზოგადოების მოქმედება ამ წელს, საბჭო კი რაღაც მიზეზისა გამო დღემდის წევრთა საზოგადო კრებას არა ჰნიშნავს. ისეთი საქმე კი, რომელიც განხილვას თხოულობს, მრავალია. მათ შორის უპირველესი საბაღოსნო სკოლაში სწავლის საქმის მოწყობა და ამ სკოლის გამგის დანიშვნაა“.

⁂ „Пет. Вѣд.“-ის სიტყვით ფინანსთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობაა აღძრული იმის შესახებ. რომ დამტკიცებულ იქმნას ფოთი ქიათურის ქვა-ნახშირის მწარმოებელთა სამეტალურგიო საზოგადოება“, რომელიც ეხლა არსდება.

⁂ „ტფ. ფურ.“-ს სიტყვით, გზათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ გზების შეკეთებას შეუდგნენ საზოგადოდ კავკასიაში და კერძოდ შავის ზღვის პირის გუბერნიაში, სადაც მერმის აზრადა აქვთ გააძლიერონ მუშაობა ახალის გზების გასაყვანად.

⁂ „Бирж. Вѣд.“ იუწყება, რომ ამ შვიდის წლის წინად აღძრული საგანი იმის შესახებ, რომ ბათუმისა და ყარსის ოლქებში გაუმჯობესებულ იქმნას მიწათა მფლობელობის საქმე, უკვე დასრულებულად და გადაწყვეტილად უნდა ჩავთვალოთ, რადგანაც სახელმწიფო საბჭოს შემოდგომის სესსიაში შეტანილი იქმნება წინადადება, რათა ამ ოლქებში ქალაქებს გარეთ მდებარე მიწები სახელმწიფოს საკუთრებად იქმნას ჩათვლილი. იმათ, ვინც ოლქების რუსეთთან შეერთების დროს, ადგილები დაისაკუთრეს და დღემდის სარგებლობენ, ჩამოერთმევათ ეს ადგილები და ხაზინას გარდაეცემა, ხოლო იმათ, ვინც მამულები იყიდა ამ უკანასკნელთაგან, მამულები არ გამოერთმევათ, იმათვე იჯარით მიეცემა.

⁂ კურდღელაურიდგან სწერენ გაზ. „აჴ. მიმ.“-ს: „ამას წინად, ღამე, ადგილობრივის მცხოვრებელის თავ. რუსიშვილის ვენახში რამდენიმე კაცი შეიპარა ყურძნის მოსაპარავად. მებაღემ დაინახა თუ არა ქურდები, თოფი გაისროლა და ერთი მათგანი მოჰკლა. მებაღეს კაცის მოკვლა არ უნდოდა, თოფის გასროლით მხოლოდ ქურდების შეშინებას აპირებდა; ამიტომ როდესაც დაჭრილი კაცი დაინახა, ხმა-მაღლა ტირილსა და ყვირილს მოჰყვა. სხვა ქურდები იმ წამსვე გაიქცნენ“.

⁂ იმავე გაზეთს თელავიდგან ერთის ადგილობრივის „დონ-ჟუანის“ თავ-გადასავალსა სწერენ: „ამ დღეებში, საღამოს 8 საათზედ, აქ კარგად ცნობილი ბ-ნი ბ. ერთის მოქალაქის სახლში შევარდა; სწორედ ამ სახლიდგან ეს ვაჟბატონი ამას წინად რაღაც სიყვარულის საქმეებისა გამო განდევნილ იქმნა. სახლში მამა-კაცი არავინ აღმოჩნდა, ამიტომ „ის“ დიდს გაჭირვებაში ჩავარდა. საბედნიეროდ, შინაურებმა როგორც იყო მეზობლებს შეატყობინეს და უკანასკნელნიც „იმის“ საშველად გამოეშურნენ. ჩვენმა „დონ-ჟუანმა“ გაქცევა დააპირა, ბალკონზედ გავარდა და იქიდგან კიბით აპირებდა ძირს ჩამოსვლას, მაგრამ, სიჩქარისა გამო, ფეხი დაუსხლტა, მეორე სართულიდგან ქუჩაში გადავარდა და გვერდები ჩაიმტვრია. სწორედ ამ დროს მეზობლებიც მოვიდნენ, ორნი მიჰვარდნენ ისედაც დასჯილს და ჯოხებით ლაზათიანად მიჰჟეჟეს. პოლიციამ ცოცხალ-მკვდარი ბ. ეტლით მკურნალთან წაიყვანა. ამბობენ, ბ. მძიმედ არის დაშავებულიო“.

◆

ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება

14 ოქტომბერი

ამ კრებას უნდა განეხილა, ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის წინადადების თანხმად, ბელგიის უსახელო საზოგადოების ახალი პირობანი ცხენის რკინის გზის იჯარით აღების შესახებ და გარდაეწყვიტა,—რა უმჯობესი იქმნება ქალაქისათვის, ხსენებული გზა თითონ ქალაქმა აწარმოვოს, თუ იჯარით მისცეს ბელგიის უსახელო საზოგადოებას.

კრებას დიდძალი გარეშე მაყურებელი ხალხი დაესწრო.

ბელგიის საზოგადოება, გზა თუ გარდაეცემა მას იჯარით, ქალაქს შეჰპირებია პირველ წელიწადს 4% 15,000 მან., მეორე წ. 4% 30,000 მ., მესამე წ. 4% 30,000 მან., მეოთხე წ. 5%—37,500 მ., მეხუთე წ. 5½% 45,000 მან., მეექვსე წ. 6½% 52,500 მან., მეშვიდე წ. 7½% 60,000 მან., მერვე წ. 8½% 67,500 მ. დანარჩენ წლებში იჯარის გათავებამდე 9% 75,000 მან.

გარდა ამისა უსახელო საზოგადოება ქალაქს ჰპირდება თურმე სესხად 32 წლის ვადით 600,000 მან., რომლიდგანაც ყოველ წლობით გამოვრიცხავთ თქვენს მოსაცემს ფულსაო. თუ გნებავთ, 15 წლის განმავლობაში იჯარის ნაწილ-ნაწილ ძლევის ნაცვლად ერთბაშად მოგცემთ 500,000 მანეთსაო.

ეს წინადადება გამგეობას განუხილავს $^{12}/_{12}$ ოქტომბერს. ქალაქის მოურავი ბ-ნი ევანგულოვი და გამგეობის წევრნი ივანენკო და ხოსროევი იმ აზრს დასდგომიან, რომ უმჯობესია ამ საზოგადოებას გადაეცეს გზა, მით უმეტეს, რომ იგი 700,000 მან. წინ და წინვე იძლევა, რომლითაც ქალაქის ათასგვარ საჭიროებას დღესვე დავაკმაყოფილებთო. გამგეობის დანარჩენი ორი წევრი თავ. ა. არღუთინსკი და ქ. ა. ვერმიშევი არ დასთანხმებიან გამგეობის უმრავლესობას. იმათის აზრით, ქალაქი უფრო მეტს ხეირს ჰნახავს თითონვე რომ აწარმოოს გზა; ბელგიის უსახელო საზოგადოებას მაინც არას შემთხვევაში არ უნდა ჩავუგდოთ ეს საქმე ხელში, ვინაიდგან იგი სხვებთან შედარებით ნაკლებს იჯარას იძლევაო. საბჭო თუ იჯარით გასცემდა ამ გზას, ვინც მეტს იძლეოდა, იმისთვის უნდა მიეცა და სხ.

საბჭოში დიდი ლაპარაკი გამოიწვია ამ საგანმა. ბ-ნნი ქ. ა. ვერმიშევი, ა. ს. ბაბოვი, ხუდადოვი და ხმ. ა. ბ. ევანგულოვი თავგამოდებით ამტკიცებდნენ ქალაქის მიერ გზის გამოსყიდვის და წარმოების უპირატესობას. ბ-ნნი იოანესიანი, ოპოჩინინი და მიტკევიჩი-კი ამტკიცებდნენ, რომ ქალაქი ამ საქმეს ვერ მოუვლის და ისა სჯობს იჯარით გავცეთ, მით უფრო, რომ წინდაწინვე გვაძლევენ იჯარის ფულსო.

ხალხი ტაშის ცემით აჯილდოებდა გამოსყიდვის მომხრეთ—ვერმიშევს, ბაბოვს და ხუდადოვს. თავმჯდომარემ ხალხს სთხოვა, რომ აქ თეატრი არ არის, ტაშს ნუ სცემთ, მოითმინეთ საქმის გათავებამდე, თორემ ჩემდა უნებურად იძულებულ ვიქმნები დარბაზიდგან გასვლა გთხოვოთო, მაგრამ ხალხი თავისას მაინც არ იშლიდა.

ხანგრძლივის კამათის შემდეგ საბჭომ უმჯობესად სცნო ცხენის რკინის გზა ქალაქმა აწარმოვოს და 49 ხმის უმეტესობით 10 წინააღმდეგ დაადგინა,—უარ-ყოფილ იქმნას ბელგიის უსახელო საზოგადოების ახალი წინადადება და გზის გამოსყიდვის საქმე განვაგრძოთო.

◆

წერილი ფრონის ხეობიდგან

არა ერთხელ ყოფილა დაბეჭდილა გაზეთში, რომ საზოგადოდ ქართლი სწავლა განათლებისა და სკოლების რაოდენობის მხრივ უკან არის ჩამორჩენილი. აქაური გლეხკაცობა აგრე რიგად ჯერ-ჯერობით არ ეტანება სკოლებს და თითქმის ფულის გაღებაც ჰშურს სკოლაზე. ზოგს სკოლა მეტ ბარგადაც მიაჩნია და ასე ამბობს, ნეტავი სხვა ჩვენს დარდსა და გაჭირვებას გაკუმლოთ, თორემ სკოლას ვინა სჩივისო. ასე იყო აქამდე, მაგრამ ეხლა-კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენკენ სწავლა-განათლების საქმემ, ბევრად თუ არა, ცოტათი მაინც წინ წაიწია. ამ ჟამად გორის მაზრაში 22 სამინისტრო სკოლაა და თითქმის ამდენივე საეკლესიო. სამინისტრო სკოლების არსებობა ხომ უზრუნველ ყოფილა, მაგრამ ასე არ არის საეკლესიო სკოლების საქმე. საეკლესიო სკოლისათვის, მოგეხსენებათ, მუდმივი და დაუშრეტელი წყარო არსად არის და ამიტომ ზოგიერთის სკოლის არ-

---

ორე მხარეს გადასვლა არ შეგვეძლო; ჩვენ წინ მხოლოდ თხრილი, ანკარას კალაპოტი იყო, რომლის სიგანე და სიღრმე ოთხ ფუტს არ აღემატებოდა.

— აბა, ჩქარა... გადახტით ამ თხრილში!—შევყვირე დორას.

თვალის დახამხამებაზედ ორივენი ლიანდაგს ქვეშ მოვექეცით. საბედნიეროდ, თხრილში წყალი არ აღმოჩნდა. ზაფხულის სიცხეებისა გამო ანკარა ამოშრალიყო. მაგრამ წყალიც რომ ყოფილიყო, იმას ვიღა დასდევდა. შიშისაგან სივიწროვეს ველარა ვგრძნობდით და მოკუნჭულები ვიწექით თხრილში.

მატარებელი ერთი ვა-ვაგლახით მოდიოდა ჩვენსკენ, გვერდზედ და ზევით მიწას ძაგძაგი გაჰქონდა. კვნესითა და ქშენით გაირბინა ორთქმავალმა, იმას ვაგონები მიჰყვნენ. იმედი მომეცა. ვიფიქრე, მატარებელი გადაივლის და ხიფათს გადავრჩებით მეთქი; მაგრამ, საუბედუროდ, მატარებელმა სიარულს უკლო და ბოლოს გაჩერდა კიდეც. ეს ამოტელა სიმძიმე ზევიდგან დაგვყურებდა და ასე გვეგონა ეს ეს არის დაგვაწვება და გაგვჭყლეტავსო.

„მემანქანემ უთუოდ ჩემი ნიშანი შეამჩნია და მატარებელი გააჩერა მეთქი, გავიფიქრე.—ღმერთმა ამოაგდოს ეს ახალი ტორმოზები და იმათი მომგონი! წინანდელი ტორმაზით ხომ ეგრე მალე ვერ შეაჩერებდა მატარებელს და ჩვენც გავნთავისუფლდებოდით ამ ტალახიან ხრამისაგან.

— ღმერთო ჩემო, რა უნდა ვქნათ?! კანკალით წამოიძახა დორამ—აქედგან ხომ ვერ გავალთ?

— ვერა, ვერ გავალთ,—მივუგე ჩურჩულით.—მატარებელი შეიძლება ყოველ წუთს დაიძრას, ამიტომ აქედგან თავის გაყოფა შეუძლებელია. ჯერ კიდევ მოვიცადოთ: დაინახავენ, რომ გზა თავისუფალია და ხელ-ახლა გასწევენ.

— ახ, ჩქარა მაინც წავიდნენ!—ბუტბუტებდა დორა!—ნეტა ძირს არავინ ჩამოვიდეს და აქ არ დაგვინახოს.

მეც გულით ვიყავ ამას მონატრული.

ამ დროს ლაპარაკის ხმა მოგვესმა. მოსაუბრენი, როგორც ეტყობოდა, ზემოთ, ჩვენს პირდაპირ გაჩერებულ ვაგონის ბაქანზედ იდგნენ.

— რად გაჩერდა აქ მატარებელი?—ჰკითხა ერთმა.

— სწორე მოგახსენოთ არ ვიცი,—მიუგო მეორემ,—დაგვიანებული მატარებელი თუ რამდენჯერმე არ შეჩერდა აბა როგორ იქნება!

დორამ ოდნავ ხელი წამკრა.

— იცანით, მისტერ მელიტონის ხმაა,—წამჩურჩულა დორამ.

— დიახ, ვიცანი,—მიუგე და მოლაპარაკეთ ხელ-ახლა ყური დაუგდე.

— თუ ვერ მიუსწარით შემაერთებელ მატარებელს,—განაგრძო პირველმა,—უთუოდ ღამის გათევა გენესვილში მოგვიხდება.

— მე ეგ არ მაწუხს,—მიუგო მისტერმა მელტონმა,—სულ ერთია მაინც გენესვილში უნდა გადმოვხდე. ამ საღამოს უექველად გემპტონში უნდა ვიყო ერთ მშვენიერ ქალის ოჯახში.

— უთუოდ მისს ბრისტონთან, რომლის შესახებაც ამას წინად მელაპარაკებოდით?

—სწორედ იმასთან—წამოიძახა მელტონმა.

— მერე, ძალიან საჭირო და საჩქარო საქმე გაქვთ?

— ჰო... არის... სიცილითა სთქვა მელტონმა.—შემდეგ გიამბობთ ყველაფერს...

ამ ლაპარაკმა საშინლად შემაშფოთა. ისაც კი დამავიწყდა, რომ მატარებლის ქვეშ ვიყავი გაწოლილი და ზევიდგან ეს ამოტელა რკინა დამყურებდა.

ტომ მელტონი დორასთან გემპტონში ხშირად მოდიოდა. ჩემი ერთად-ერთი საშიში მეტოქე ის იყო, სხვანი ანგარიშში არ ჩაიგდებოდნენ. და, აი, ეს ჩემთვის საშიში კაცი, პირველი მეტოქე საღამოზედ დორასთან უნდა მისულიყო! ვინ იცის, ამ საღამოს რა გადასწყდებოდა?!...

მე საქმის გადაწყვეტა უეცრად მიყვარს, დიდი ფიქრი და აწონ-დაწონა მეჯავრება, მაშინ-კი მით უმეტეს დაყოვნება არ გამოდგებოდა, დროს დაკარგვა საზარალო იყო. არავინ იცოდა ერთი ორი საათის შემდეგ რა მოხდებოდა! თუ მაშინვე არ განმეცხადებინა ის, რაც გულში მიდო, შეიძლება შემდეგ ველარაოდეს ველარ მომეხერხებინა. მართალია, ტალახიანი თხრილი მატარებლის ქვეშ მეტად შეუფერებელი ადგილი იყო სიყვარულის გამოცხადებისათვის, მაგრამ, რას ვიზამდი, ამაზედ ფიქრის დრო აღარა მქონდა.

— დორა,—წავჩურჩულე ჩემს მეზობელს,—ვიდრე ის კაცი შენთან სტუმრად მოვიდოდეს, უნდა გამოგიცხადო, რომ მიყვარხარ!..

არ ვიცი მატარებელი კიდევ დიდხანს იდგა ჩვენს ზევით თუ მაშინვე წავიდა; ეს კია, რომ ჩემთვის სულ ერთი იყო გინდაც მთელი დღე არ დაძრულიყო; ყურადღებას არ მივაქცევდი.

დორამ ახლო მოიწია.

— რა მოხარული ვარ, რომ ასეთი ამბავი გავიგე,—პასუხის ნაცვლად მომიგო იმან.

როდესაც იმ საღამოს ბრისტონის სასტუმრო ოთახში მისტერ მელტონმა თავი შემოჰყო, მე უკვე ყელ მოღერებული იქ ვიჯექი. ბრისტონი გამჭრიახი კაცი იყო, ის მაშინვე მიხვდა, რომ დიასახლისს ჩემთან დარჩენა უფრო ესიამოვნებოდა ვიდრე სხვა ვისმესთან; ამიტომ მალე ფეხზედ წამოხტა, თავი დაგვიკრა და თავის გზას გაუდგა. ძალიან კარგაცა ჰქნა: ლაპარაკი რაღაც არ გვეხერხებოდა. მისტერ ბრისტონმა რამდენჯერმე წყევლა-კრულვა შეუთვალა იმ ვიღაც მასხარას, რომელმაც გზაზედ წითელი ნიშანი დაურჭო და უიმისოდაც დაგვიანებული მატარებელი უფრო დააგვიანა.

— მატარებელი რომ არ გაჩერებულიყო,—დაუმატა,—დროით მოვიდოდი, მისს დორა, თქვენთან და საღამომდის გასეირნებას კიდევ მოვასწრებდით.

გაუმარჯოს ახალ ტორმოზებს! იმ მატარებელს ძველი ტორმოზი რომ ჰქონოდა, დორა ჩემი არასოდეს არ იქმნებოდა. მართალია, ძნელია წინდა-წინვე რამეს თქმა, მაგრამ მაინც არაფრად მეპაშნიკებოდა, რომ იმ დრომდე ვიდრე დორა ჩემს სიყვარულს შეიტყობდა, მჭერმეტყველ მელტონთან ერთად სასეირნოთ მიმავალი დამენახა.

ი. ა—ძე

◆

სკოლა ხშირად ქველმოქმედთა შემოწირულებაზედ არის დამყარებული. ამ ბოლოს დროს ქართლში გამოჩნდა რამდენიმე კაცი და იკისრეს ამ სკოლების დახმარება. მოხისის სკოლის მზრუნველობა იკისრა სოფელ აზისის მემამულემ თავ. როსიკო ამირეჯიბმა. მან უკვე შესწირა ამ სკოლას 25 მანათი და ამდენივე აღუთქვა სკოლას ხელწერილით ყოველ წლივ გადასახდელად და აგრეთვე, ჰპირდება ყოველის მხრივ დახმარება გაუწიოს ამ სკოლასაო. თუ სახეში მივიღებთ საზოგადო სოფლის სკოლის გაჭირვებულს მდგომარეობას, უნდა აღვიაროთ, რომ ასეთი დახმარება სკოლისათვის დიდი წყალობაა. გორის მაზრისავე სოფ. ქვენატკოცის საეკლესიო სკოლის მზრუნველობა იკისრა აქაურმავე მემამულემ აზნ. აბელ კალატოზიშვილმა და აღუთქვა სკოლას შენობის აგება. სახლის აშენებას უკვე შეუდგნენ. სოფელ ფცის მემამულის თავ. დავით ბაგრატიონის სურვილისა და ნივთიერის დახმარებით უკვე განზრახულია საეკლესიო სკოლის დაარსება ამ სოფელში. ატოცის განთქმულ ეკლესიის ახალი მოძღვარი ნიკონ სალარიძე აარსებს საეკლესიო ხარჯით სკოლას. ყოველივე ასეთი დაწყება და გულშემატკივრობა კერძო სკოლისა და სწავლა-განათლების საქმისათვის დიაღაც საყურადღებოა.

ერთი სასიამოვნო ამბავიც უნდა მოვიხსენიოთ. გორის მაზრის საეკლესიო სკოლების ზედამხედველს განზრახვა აქვს, თუ გარემოება ხელს შეუწყობს, შემდეგს საშუალებას მიჰმართოს სკოლების დახმარებისათვის: როგორც შევიტყეთ, უკვე მოელაპარაკა ზოგიერთ მემამულეებს და გლეხებსაც, რომ თითოეულს სოფელში, სადაც-კი საეკლესიო სკოლა არსებობს, დაუთმონ სკოლას რამდენიმე დღიური ადგილი ულაღოდ და ამ ადგილის შემოსავალი გარდაეცეს ხოლმე სკოლას. მოხისისა და ქვენატკოცის სოფლებისათვის უკვე დათმობილია ზემოხსენებულ პირობებით ადგილები და მოხნულიც არის. თუ ამ გვარი დახმარება გავრცელდა და თავადებმა თუ გლეხებმა მხარი მისცეს სკოლების ზედამხედველს და ამ საშუალებას მიჰმართეს, ეჭვი არ არის, რომ მაშინ საეკლესიო სკოლების არსებობა ბევრად თუ არა, ცოტათი მაინც უზრუნველ-ყოფილი იქმნება და გლეხ-კაცობას ისე აღარ გაუჭირდება სკოლების შენახვა. დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ ყველა ზემოხსენებულნი გულ-შემატკივარნი სასოფლო სკოლებისა დიდის მადლობის ღირსნი არიან, რადგანაც გაჭირვებულ გლეხობას გაუადვილებენ სკოლების შენახვას და თუ იმათს მაგალითს სხვებმაც მიჰმართეს (ეს, რა თქმა უნდა, მოსალოდნელიც არის), მაშინ ორ-კეცი მადლობა ეკუთვნით, რადგანაც, თუ საეკლესიო სკოლებმა მჭიდროდ მოიკიდეს ფეხი, სწავლა-განათლება შესამჩნევად გავრცელდება ხალხში.

ა—ნ

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. იანეთი, (ქუთაისის მაზრა). 9 ოქტომბერს, შუადღისას, საშინელმა ცეცხლმა შთანთქა შიდის მოსახლე გლეხის სახლ-კარი, ცეცხლი გაუჩნდა პირველად ნიკოლოზ რუხაძის სახლს; იქიდგან თან-და-თან გადავიდა ერმილე, ლევან, პავლე და კალისტრატე რუხაძეების სახლებზედ, საშინელმა ქარმა ცეცხლი გადისროლა თედორე კოპალეიშვილის სახლისაკენ, რომელიც იმყოფება ¼ ვერსის მანძილზედ ნიკოლოზ რუხაძიდგან. იქიდგან ცეცხლი გადავიდა ტარიელ ჯაჯანიშვილის ეზოში და დაიწვა სამზარეულო ყოველივე ავეჯით, მხოლოდ დიდი სახლი გადაარჩინეს დიდის ვაი-ვაგლახით და მეზობლების დახმარებით. ხალხმა დაწვისაგან დაიხსნა აგრეთვე ექვთიმე ჯავარშიშვილის სახლი და ბეღელი, მხოლოდ სასიმინდე-კი დაიწვა. გადაარჩინეს აგრეთვე მეორე ნიკოლოზ რუხაძის და მიხეილ კოხრეიძის სახლი.

გაძლიერებულ ცეცხლს ხელს უწყობდა საშინელი ქარი. ზარალი 8,000 მანეთამდე ადის. საცოდავებს არა დარჩენიათ-რა დაუწვავი, სასიმინდისა და ჭიშკრის გარდა, თუმცა ზოგს ისიც დაეწვა. საზარელს სურათს წარმოადგენდნენ დამწვარის პატრონთა ცოლ-შვილნი: ხუთის მოსახლე რუხაძის სახლ-კარს და ნივთებს ერთთავად ეკიდა ცეცხლი და არავითარი საშუალება არ გადიოდა მის წინააღმდეგ; ცეცხლის ახლოს ეყარნენ საცოდავები და მათი წივილ-კივილი ზეცას აღიოდა; უმრავლესობა პერანგის ამარა დარჩა, რადგან სამუშაოზედ იყვნენ ყანაში და ტანისამოსი-კი სახლში დაეტოვებინათ. სადამოს მოვიდა პოლიციის ბოქაული და გამოჰკითხა ხალხს ცეცხლის გაჩენის მიზეზი. აღმოჩნდა, რომ ნიკოლოზ რუხაძეს ცეცხლი დაუხურავს კეცით; კეცს ქვევიდგან ქარს გამოუტანია ნაკვერჩხალი და იგი მოსდებია სახლს. ბოქაულმა ხალხი ანუგეშა და აღუთქვა, რომ ვიშუამდგომლებ მთავრობის წინაშე დაღუპულ ხალხს შემწეობა აღმოუჩინონო. მართლა საჭიროა შემწეობა ამ უსახლ-კაროდ დაყრილ და ღვთის ანაბარად დატოვებულ ხალხისათვის.

დასასრულ, არ შეგვიძლიან არ მოვიხსენიოთ, რომ ზოგიერთებმა სამაგალითო თავგანწირულება გამოიჩინეს ცეცხლის ჩასაქრობლად. მათს სიყოჩაღეს უნდა მივაწეროთ, რომ მთელი სოფელი არ გადაბუგა.

ისევ ის ვარ

წერილი ქუთაისიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

11 ოქტომბერს აქაურმა მარულას საზოგადოებამ გამართა ქუთაისის განაპირას ს. ბანოჯას ახლო მარულა. საჩუქარი პირველის ჭენებისა 200 მან. იყო: პირველის ცხენისათვის 160 მან., მეორისათვის 40 მან. პირველ ჭენებაში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ ცხენებს ყოველის მხრის, ყოველნაირის ჯიშისას და ყოველის ხნოსას, როგორც ჭაკს, ისე ულაყს; ეს ჭენება ეგრედ წოდებული ჯენტლმენური ჭენება იყო. სარბენალი მანძილი 2 ვერსი და 100 საჟ. ტვირთი სამის წლის ულაყისათვის 4 ფუთი და 7 გირვანქა, 4 წლისათ.—4 ფუთი და 15 გირვ. და უხნესისათვის—4 ფ. და 23 გირვ., ჭაკებს ხუთი გირვანქით ნაკლები ჰქონდათ. ამ ჭენებაში ორივე საჩუქარი აიღო უგანათლეს. თ. დ. დ. გ. დადიანის ულაყმა ცხენმა „თამართაზმა“, რომელზედაც თვითონ პატრონი იჯდა; ეს ცხენი თავ. ახლო ტუხანოვის ჯოგისა არის.

მეორე ჭენებაში მონაწილეობას იღებდა ოთხი ცხენი: თავ. ს. ანჩაბაძისა „ცურუნა“, თავ. ბ. ი. მხეიძისა „კამათელი“, ბ-ნ პრიხოდკოსი „ყარაჩაი“ და ბ-ნ კოვალენკოსი „მტრედი“. სარბენალი მანძილი—6 ვერსი იყო. საჩუქარი—ასის მანეთის ნივთები და ოცი მანეთი ფული უკანასკნელ ორ ცხენს ხვდა.

მესამედ ხუთმეტმა რუსის ყაზახმა გააჭენა. მანძილი ორი ვერსი იყო. გზაზედ დაბალი სახტომი ღობე გაუკეთეს, რომელსაც ჭენების დროს ერთმა ცხენმა ფეხი წამოჰკრა და მხედრიანად ყირამალა გადაირა, რის შემდეგ ღობე მოაცილეს. მხედარი ცოტა დაშავდა. მეოთხედ გააჭენეს სამი ცხენი. ჯილდო 200 მან. „ქუთაისის მარულას საზოგადოებისა“ იყო. პირველად მოვიდა ბ-ნი კლიაშევიჩის ულაყი „დეკიზი“, რომელმაც 160 მან. აიღო, მეორედ მოვიდა ზემოხსენებული „თამართაზი“ თავ. დ. გ. დადიანისა და მაიღო ორმოცი მან., შემდეგ ბ-ნ კოკორუშნიკოვის ულაყი „ბულატი“, რომელმაც ოცი მან. აიღო.

მეხუთედ ორ-ორი წლის ცხენები გააჭენეს; მანძილი ერთი ვერსი იყო. პირველობა დარჩა ბ-ნ ბორზიკის ულაყს „ტორეადორს“, მეორობა ჭაკს „გრაციას“; ორივეს ასი მან. საჩუქარი ხვდა.

რუსეთი

პეტერბურგში აზრადა აქვთ დაარსონ სატეხნიკო კურსები ქალთათვის. კურსებს ქ-ნი ფონ-დიტმანი აარსებს თავისის ხარჯით.

— საარქეოლოგო ინსტიტუტს აზრადა აქვს ამ ზამთარს საარქეოლოგო გამოფენა გამართოს. ამ საქმის მოწყობა განსაკუთრებულ კომისიას მიენდო, რომლის თავმჯდომარედაც ინსტიტუტის დირექტორი ნ. ვ. პოკროვსკი იქმნა დანიშნული.

— სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით ამ დღეებში ტიბეტიდგან პეტერბურგს დაბრუნდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ა. მ. პოზდნეევი. ტიბეტში პროფესორი იმ აზრით იყო, რომ იქაურის მკურნალობის საქმე შეესწავლა. საზოგადოდ ტიბეტი ევროპიელთათვის უცნობი ქვეყანაა. სულ სამოთხ ევროპიელ მოგზაურზედ მეტი არა ყოფილა იქ. ამბობენ ბ-ნმა პოზდნეევმა მრავალი საყურადღებო მასალა მოიტანა თანაო.

— გაზ. „Нов. Вр.“-ს სიტყვით, საერო განათლების სამინისტრომ ყურადღება მიაქცია იმას, რომ ფიზიკის სწავლების საქმე გიმნაზიებში კარგად არ არის დაყენებული. მან განკარგულება მოახდინა, რომ შემდგარ იქმნას ყველა სამოსწავლო ოლქში კომისიები ფიზიკის მასწავლებელთაგან იმის შესახებ მოსალაპარაკებლად, თუ როგორ უნდა მოეწყოს ფიზიკის სწავლების საქმე. კომისიებმა თავიანთი აზრი სამინისტროს უნდა წარუდგინონ.

უცხოეთი

შეერთებული შტატები და ესპანია. ამ ორის სახელმწიფოს წარმომადგენელთა სამშვიდობო მოლაპარაკებას პარიჟში ვერაფერი სანუგეშო ნაყოფი მოუტანია ესპანიისათვის. ყუბაზედ 3 მილიარდი პეზეტი *) ითვლება თურმე ვალად. ესპანიას ეგონა, რომ რაკი ყუბა განთავისუფლდა, ეს ვალიც მანვე უნდა გარდაიხადოს, ანუ ამერიკამ, თუ მისს მფარველობას ქვეშ იქმნება ყუბაო. მაგრამ ამერიკის წარმომადგენლნი ამტკიცებენ, რომ ესპანიას ეს ფული ყუბის სასიკეთოდ ხომ არ დაუხარჯავსო; იმისთვის ვალი, რომ ყუბაში ამბოხება მოესპო, რომელიც თავისის უხეირო მართვა-გამგეობით გამოიწვია, და ქვეყანა დაემონავებინა. მაშასადამე, ამ ვალის გარდახდა, ყუბამ კი არა, ესპანიამვე უნდა იკისროსო. გარდა ამისა ნებას არ აძლევს ესპანიას ყუბიდგან თავისი საომარი იარაღი წამოიღოს. საბუთად ის მოჰყავს, რომ რაკი ეს ქვეყანა დაჰკარგა, არც იმის წილების უფლება აქვს, რაიცა იქ იმყოფება, ვითარცა იმ ქვეყნისავე საკუთრებაო. ყველაფერზედ უფრო სამძიმოდ ესპანიას ფილიპეს კუნძულების დაკარგვა მიაჩნია. ესპანიის საზოგადოება დიდი ხანია გამოეთხოვა ყუბას და ამ მოვლენას თითქმის კიდეც შეურიგდა, მაგრამ ფილიპეს კუნძულების დაბრუნების იმედი კიდევ ჰქონდა და ეხლა ეს იმედი რომ უმტყუნდება, აღარ იცის რა ჰქმნას. ყველა პოლიტიკური მოღვაწე, მიმართულების გაურჩევლად, ამ საქმეს ჩაჰკვირვებია, უნდა როგორმე მიწასთან გასწორებულს სამხედრო ცოტაოდენი სახელი მაინც შეინარჩუნოს, მაგრამ რა გაუვა, როცა ძალა აღმართისა ჰნახავს. ესპანიას აღარც ფლოტი ჰყავს, არც ფული აქვს და არც დიდი ნდობა და რას გააწყობს ძლიერ შეერთებულ შტატებთან.

წყალ-წაღებული კაცი ხავსს ეჭიდებაო, სწორედ ისეა ესპანიის საქმე: უნდა თურმე, როგორც ამბობენ, უკანასკნელ საშუალებას მიჰმართოს, სახელდობრ, ინგლისს სთხოვოს შუა კაცობა გაუწიოს ამერიკასთანაო. მაგრამ, გაზეთების სიტყვით, ესპანია ამით ვერას მოიგებს და ის ეჯობინება, ისევ პირდაპირ ამერიკასთან მოლაპარაკებით გაათავოს საქმეო.

—

გერმანია. უკანასკნელს ხანებში გერმანიის პოლიციას მეტი თვალ-ყური დაუჭერია ანარქისტებზედ. გერმანიაში ძლიერ ბევრი ანარქისტი ყოფილა; ისინი ათასობით ითვლებიან თურმე და ამას 'გამო გერმანიის პოლიციელნი, რომელთაც ეს საქმე აბარიათ, დიდს ფაცა-ფუცში არიან. თვალ-ყურს ისეთს კაცებს ადევნებენ, რომელნიც, მართალია, წინად საეჭვოდ მიაჩნდათ, მაგრამ შემდეგ საიმედოდ იქმნენ ცნობილნი. ეჭვი ისეთს კაცებზედაც-კი შეაქვთ თურმე, რომელთაც შესამჩნევი ადგილი უჭირავთ საზოგადოებაში და ზოგს კარგი სახელიც მოუპოვებია თავისის სალიტერატურო მოღვაწეობით. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ იმ კაცებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ არც ანარქისტებთან და არც მათ სწავლა-მოძღვრებასთან.

—

საფრანგეთი. სამხედრო მინისტრად ნამყოფს კავენიაკს, გაზ. „Temps“-ის სიტყვით, განზრახვა აქვს დეპუტატთა პალატას წინადადება წარუდგინოს, რომ საკასაციო სასამართლოს დრეიფუსის საქმის განხილვის ნებას ნუ მისცემს პალატა და ყოველივე საბუთის ქაღალდი, რაიცა ხსენებულს საქმეს შეეხება, უკანვე მოითხოვოსო. კავენიაკმა თუ მართლა წარადგინა ასეთი წინადადება და პალატამაც შეიწყნარა იგი, დიდი ცვლილება უნდა მოხდეს საფრანგეთის კანონმდებლობაში, რადგან ეხლანდელის კანონის ძალით საკასაციო პალატა უმაღლესი დამოუკიდებელი სასამართლო დაწესებულებაა საფრანგეთში და დეპუტატთა პალატას იმაზედ გავლენა არა აქვს.

დამაკვირდი

ბრძენი იმას-კი არ დაეძებს, რაც სასიამოვნოა, არამედ იმას, რაც მწუხარებას განაქარვებს.

არისტოტელი

* * *

ღირს არს ტირილსა მოცინართა სიცილი.

ნიკოლოზ ტფილელი

* * *

სანატრელი მხოლოდ არ-გაჩენაა, მაგრამ ამასაც მხოლოდ დაბადების შემდეგ ვფიქრობთ.

ბ. ღ—შვილი

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ინგლისის გეოლოგი ტომსონი (ლორდი კელვინი) ამბობს, რომ ოთხას წელიწადს შემდეგ ქვეყნის დასასრული იქმნებაო. ყველა ადამიანი, ყველა სულდგმული დაიხოცება, რადგანაც ჰაერში აღარ იქმნება მჟავდედაო (კისლოროდი). რომ ეს ასე არ მოხდეს და ეს საშინელება ავიცილოთ თავიდგან, იგი გვირჩევს, გავუფრთხილდეთ ტყეებსა და ბაღ-ვენახებს და რაც შეიძლება ტყეები და ვენახები გავაშენოთ. პატივცემული მეცნიერი ემუდარება ყველას გაუფრთხილდეს ტყეებს და შეუდგეს ხე-ხილის ბაღების გაშენებას.

* * *

ჩინეთის სახელმწიფოში გასულ თვეს საკმაოდ საოცარი ამბავი მოხდა. ჩინეთის ბოგდიხანს, იმპერატორს, მზრუნველი დაუნიშნეს, მიუხედავად იმისა, რომ 24 წლისა არის. რა არის ამის მიზეზი? ზოგი ამბობს, ამის მიზეზი პირველ მინისტრის ლი-ხუნგ-ჩანგის გადაყენება არის სამსახურიდგანაო, ზოგი-კი ამტკიცებს, ეს ამბავი ახალმა რეფორმებმა გამოიწვიაო. ასეა თუ ისე, აშკარაა, რომ ჩინეთის იმპერატორს მმართველობა ჩამოართვა ჩინეთისავე იმპერატრიცამ. რუსულ ჟურნალებში საყურადღებო წერილები იბეჭდება ამ ამბის გამო. ერთი ჟურნალი ამბობს, რომ ამ ჟამად ჩინეთი, ანუ უკედ რომ ვსთქვათ, მთელი აღმოსავლეთი წააგავს ბალკანეთის ნახევარ-კუნძულს. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ბულგარიისა, სერბიისა, რუმინიისა და ჩერნოგორიის მაგიერად იქ ერთმანეთს ექიშპებიან და ებრძვიან დიდნი სახელმწიფონი. რუსეთი ჩრდილოეთიდგან აწვება ჩინეთს, ინგლისი სამხრეთიდგან, გერმანია აღმოსავლეთიდგან და ყველანი მიიწევიან ჩინეთის იმპერიის გულისაკენ—პეკინისაკენ. ეს ქიშპობა დიდ სახელმწიფოთა უფრო ნათლადა სჩანს თვით პეკინში, ცუნგლი-იამენში. (გარეშე საქმეთა სამინისტროა). აი რა ამბები ხდებოდა აქ,ვიდრე იმპერატრიცა ჩაიგდებდა ხელში სახელმწიფო მართვას. ინგლისის წარმომადგენელი მაკდონალდი და რუსეთის წარმომადგენელი პავლოვი ერთმანერთს ებრძოდნენ და ეს ბრძოლა არავისთვის არ იყო დაფარული. ჩინეთში დაიწყეს ლაპარაკი რკინის გზების გამართვაზე. პავლოვმა მოახსენა ჩინეთის მთავრობას, რკინის გზების გამართვაში რუსეთი დაგეხმარებათო, მაკდონალდმა კიდევ თავისი დახმარება აღუთქვა და საქმე გამწვავდა. რუსეთმა პორტ-არტური დაიჭირა, ინგლისმა—ვეი ხაი-ვეი. დაიწყეს ლაპარაკი სახელმწიფო სესხზე და იგივე ამბავი მოხდა. გერმანია ვითომ არაფერში ერეოდა, მაგრამ მუშტს-კი უღერებდა ყველას—ჩინეთისაკენ გაჰგზავნა ჯავშნიანი გემები, რომელთაც პრინცი გენრიჰი უფროსობდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ლი-ხუნგ-ჩანგი დაემუქრა მაკდონალდს—თუ შენი არ დაიშალე, ჩინეთიდგან გაგაძევებო. ეხლა-კი საქმე რითიმე უნდა გათავე-

---

*) ერთი პეზეტი დაახლოვებით 23 კაპეიკს უდრის.

ბულიყო. ახალგაზდა იმპერატორს ინგლისის მხარე ეჭირა. ინგლისმაც ამით ისარგებლა და შეუთვალა იმპერატორს—ან ლი-ხუნგ-ჩანგი დაითხოვე სამსახურიდგან, ან არა და ომს გამოგიცხადებთ და ეხლავე გამოვგზავნით ტაკუსაკენ სამხედრო გემებსაო. ლი-ხუნგ-ჩანგი—სამსახურიდგან დაითხოვეს. ეს ამბავი, რალა თქმა უნდა, არაფრად ესიამოვნა რუსეთის წარმომადგენელს პავლოვს და თვით რუსეთის მთავრობასაც, რა მოხდა ამის შემდეგ ცუნგლი-იამენში, არავინ იცის... მაგრამ არ გასულა რამდენიმე კვირა, რომ გამოცხადებულ იქმნა—იმპერატორი მცირეწლოვანი არის და ამიტომ მზრუნველად დედა უნდა დაუყენოთო. ეხლა ეს ამბავი ინგლისს არ მოეწონა, რამდენს ხანს იქმნება ასე საქმე, ჯერ არავინ იცის. ხოლო ამ ჟამად-კი სახელმწიფოს განაგებს ჩინეთის იმპერატრიცა და პირველი მინისტრი ისევ ის ლი-ხუნგ-ჩანგი.

◆◆

თეატრის მატიანე

—

პატივცემულის ქ-ნ ე. კ. ჯინოვას თაოსნობით კვირას, 11 ამ თვეს, დღით, ქუთაისის თეატრში, ნეტარ-ხსენებულის მწყემსთმთავრის გაბრიელის სახელობაზედ დაარსებულ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იყო ოპერა „ტრავიატა“ (უკანასკნელი მოქ.) და „ნორმა“. რასაკვირველია, როგორც მოსალოდნელიც იყო, წარმოდგენას იმდენი ხალხი მოაწყდა, რომ მრავალნი იძულებულნი შეიქმნენ დაბრუნებულიყვნენ გულ-დაწყვეტილნი სახლში, რადგან აღარ შეიძლებოდა სკამი სადმე დაედგა კაცს ან ფეხზე გაჩერებულიყო. ასეთი გარემოება მიეწერება, სხვათა პატივსადებ მიზეზთა გარდა, იმ განუსაზღვრელს სიყვარულსა და სასოებას, რომლითაც აქაური საზოგადოება, მთელს ჩვენ ერთან ერთად განმსჭვალულია იმ დიდებულის, თავისის ერისა და ენის მოყვარულის, სულმნათის ადამიანის მიმართ, რომლის სახელობაზედაც წიგნთ-საცავი არის დაარსებული... წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა: ყველას ეტყობოდა მეცადინეობა და დაკვირვება, ხორო მშვენივრად იყო მომზადებული და კიდევაც დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება, რომელმაც განსაკუთრებითი მას მშვენიერი თაიგული მიუძღვნა; მოსაწონი იყო ქ-ნი ძნელაძისა „ნორმაში“, რომელიც ნასიამოვნებმა საზოგადოებამ ტაშის ცემითა და თაიგულებით დააჯილდოვა ..

მადლობის ღირსია ქ-ნი ე. კ. ჯინოვისა, რომელიც ყოველსავე ღონესა ჰხმარობს წინ წაუძღვეს და ემსახუროს მის მიერ ნაკისრს კეთილს საქმეს და არ ზოგავს არავითარს საშუალებას, რომ ეს წიგნთ-საცავი, როგორც ლამპრად დადგმული დიდებულის მწყემსთმთავრის ხსოვნის წინაშე, უფრო კარგად მოაწყოს; აგრეთვე ღირსნი არიან მადლობისა ყველა ისინი, ვინც სიამოვნებით დაეხმარა ამ საქმეში ქ-ნს ჯინოვისას და საზოგადოებასაც, რომელიც სრულის თანაგრძნობით შეხვდა ამ საქმეს.

თ. მინავარდია

◆◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

14 ოქტომბერი

პეტერბურგი. „მთავრობის მოამბე“-ში დაბეჭდილია: როგორც სამარყანდის ოლქის სამხედრო გუბერნატორი იუწყება, ისკანდერის საზოგადოების ანზოვის სოფელში რაღაც სენი გაჩენილა, რომელიც ბევრსა ჰხოცავს თურმე. ექიმებს ეს სენი შავი-ჭირისათვის მიუმსგავსებიათ. ადგილობრივ მთავრობის განკარგულებით ანზოვში მიმავალ გზებზედ დარაჯები დაუყენებიათ, რომ აღარავინ წავიდეს იქით. მიცვალებულთა ტანსაცმელი და ქვეშაგები დაუწვავთ. სოფელი დაუსუფთავებიათ. ავადმყოფნი ცალკე შენობაში მოუთავსებიათ. დარიგება მიუციათ, როგორ უნდა მოუარონ ავადმყოფთ და როგორ დაასაფლავონ მიცვალებულნი. ჯანსაღნი ჯერ-ჯერობით იქვე დაუტოვებიათ, მაგრამ სხვა სადგომებში-კი გადაუყვანიათ, სადაც ორის კვირის განმავლობაში თვალ-ყურს ადევნებენ. მომეტებული ექიმები და ფერშლები არიან გაგზავნილნი, რომელთაც გატანებული აქვთ საჭირო წამლები და სადეზინფექციო მასალა. ისკანდერის საზოგადოების გარშემო სოფლებიდგან იუწყებიან, რომ აქეთ ჯან-მრთელობა არისო.

ამ ცნობების მიღებისთანავე იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს შავის-ჭირის წინააღმდეგ ბრძოლა, სამარყანდის ოლქში გამოცდილი ექიმები გაჰგზავნა, რომელთაც ინდოეთშივე აქვთ შავი-ჭირი კარგად შესწავლილი და მიანდო გამოიკვლიონ და გაიგონ ამ სენის თვისება. უმაღლესის ბრძანებით, რომელიც 12 ოქტომბერს მოხდა, კომისიის თავმჯდომარე მისი უმაღლესობა პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგისა სამარყანდის ოლქში მიდის, რათა ადგილობრივ მიიღოს ღონისძიებანი ავადმყოფობის მოსპობის და იქაურობის გასუფთავება-გაწმენდისათვის.

სიმბირსკი. მოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელსაც გუბერნატორი და მთელი ადმინისტრაცია მიეგება. საღამოს ბჭობა ექმნებათ. სავაჭრო განყოფილების გამგე კასპეროვი, რომელიც მინისტრს ახლავს, ფიცხელს განკარგულებას აძლევს, რათა გაანაწილოს ყინულის გამო შეჩერებული პური მოუსავლობით დაზარებულ გუბერნიათა შორის. იმის წყალობით, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ შესყიდული პური ბლომად მოზიდეს, დაზარალებულ გუბერნიებში ფქვილის მაზანდა დიდი არ არის.

ალექსანდრია. 23 ოქტომბერს, გემზე, რომელიც მალტიდგან მაკედონიაში მიდიოდა, დააპატიმრეს ერთი ანარქისტი, რომელსაც კარგად იცნობენ ესპანიასა და საფრანგეთში. ეს ანარქისტი მოვიდა იტალიიდგან მალტაზე და იქ განაცხადა—ალექსანდრიაში მივდივარ და იქიდგან პალესტინაში უნდა წავიდეო.

პარიჟი. რესპუბლიკელ პროგრესისტთა კრებამ გადასწყვიტა გამოვუცხადოთ მთავრობას, რომ შინაურ პოლიტიკაში არ ვენდობით, რაც შეეხება გარეშე პოლიტიკას, სრული ნდობა გამოვუცხადოთო.

პარიჟი. პალატის კრების დაწყებამ და ბურბონის სასახლეში დერულედისა, მილვუას და დრუმონის მოსვლამ რამდენიმე მანიფესტაცია გამოიწვია. თანხმობის მოედანზე დიდძალი ხალხი იყო. ისმოდა ყვირილი: „გაუმარჯოს ჯარს, შორს ჩვენგან ურიები“! ამაზე სხვები უპასუხებდნენ: „გაუმარჯოს რესპუბლიკას, გაუმარჯოს საფრანგეთს“! პოლიციამ ხალხი განდევნა მოედნიდგან. ასტყდა ჩხუბი. რამდენიმე კაცი დაპატიმრებულია, მათ შორის ანტისემიტთა საზოგადოების თავმჯდომარე გერენი, რომელმაც ჯოხი შემოჰკრა პოლიციის კომისარს ლეპრუს.

პარიჟი. პალატა. მრავალი დეპუტატი შეგროვდა. დიდი აღელვებაა. ბრისონი ადის ტრიბუნაზე. მარჯვენა მხრიდგან უყვირიან: „სამსახურს თავი დაანებეთ“! მარცხენა მხრიდგან წინააღმდეგობის ხმაა. ბრისონმა მოაგონა პალატას, რომ დრეიფუსის საქმე გარდაეცა განსახილველად საკასაციო სასამართლოს. ხმაურობაა. ბრისონმა სთხოვა პალატას დრეიფუსის საქმის შესახები საგნები განაცალკევეთ სხვა საგნებისაგანაო. ზოგმა ტაში დაუკრა. ტრიბუნაზედ დერულედი ავიდა. რადგანაც დერულედი ძალიანა ჰკიცხავდა შანუანს, ეს უკანასკნელი ტრიბუნაზედ ავიდა და განაცხადა, რომ თანამდებობას თავს ვანებებო. აღელვებაა. გავიდა რა პალატიდგან, შანუანი ელისეის სასახლეში წავიდა ფორთან, მაგრამ იმან არ მიიღო და შემოუთვალა, თანამდებობიდგან მაშინ განგათავისუფლებთ, თუ ამას საბჭოს პრეზიდენტი გამომიცხადებსო. როდესაც ფორი ბრისონმა ნახა, იგი დაეთანხმა ამ უკანასკნელის აზრს, რომ სამხედრო მინისტრად სამოქალაქო კაცი უნდა დაინიშნოს, რათა ამითი საგულისხმოდ აღნიშნონ ის გარემოება, რომ სამხედრო ძალა სამოქალაქოს უნდა ემორჩილებოდეს. ფორმა სასტიკად გაჰკიცხა შანუანის საქციელი. კრების დროებით შეწყვეტის დროს პალატის კარიდორებში დიდი მოძრაობა იყო. რესპუბლიკანელი დეპუტატები ძალიანა ჰკიცხავენ შანუანის საქციელს.

პარიჟი. როდესაც პოლიციის კამისარს თავს დაესხნენ, თანხმობის მოედანი ბრბოსაგან განთავისუფლებულ იქმნა ჲ ჯარმა დაიჭირა. 4 საათამდე 150 კაცი დააპატიმრეს.

კონსტანტინეპოლი. კრიტიდგან იუწყებიან, რომ ადმირალმა სკრიდლოვმა მოახერხა რეტიმოს მაჰმადიანთა და ქრისტიანთა შერიგებაო. უკვე შეუდგნენ კრიტის ჟანდარმერიის შედგენასაო.

15 ოქტომბერი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასული დიდის მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასულითურთ 12 ოქტომბერს კოპენჰაგენიდგან აბასთუმას წავიდა.

სიმბირსკი. შინაგან საქმეთა მინისტრი სამარაში წავიდა.

ვენა. გრაფი მურავიოვი ლივადიას წავიდა.

პარიჟი. ბრისსონის სამინისტრო ამ გარემოებათა შორის გადადგა: ბრისსონმა, უარ-ჰყო რა დე-მაგის მიერ შესწორებული წინადადება, განაცხადა, რომ მთავრობა არ შეიწყნარებს არც თქვენს მოწონებას და არც გაკიცხვასაო. შესწორებული წინადადება შეწყნარებულ იქმნა პალატის მიერ 296 ხმის უმეტესობით 243 ხმის წინააღმდეგ. სოციალისტმა ბერტომ მოითხოვა, რომ პალტამ ბრისსონს ნდობა გამოუცხადოსო. ბერტოს წინადადება უარ-ყოფილ იქმნა 286 ხმის უმეტესობით 254 ხმის წინააღმდეგ. მინისტრები გავიდნენ კრების დარბაზიდგან. დეშანელმა სთქვა, რომ ერთად დავადგინოდ განაჩენი მორიგ საქმეებთან გადასვლისა და რიბოს და დე-მაგის წინადადებათა შესახებაო. პალატამ შეიწყნარა წინადადება მორიგ საქმეებზედ გადასვლისა 460 ხმის უმეტესობით 28 ხმის წინააღმდეგ. ბოდრი დ'ასონმა განაცხადა, რომ ყველა მინისტრი სამართალში მივცეთ, გენერალ შანუანის გარდაო. კრება დაიშალა საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზედ. შემდეგი კრება 23 ოქტომბერს იქნება.

პარიჟი. როდესაც დერულედი პალატიდგან გამოვიდა 9 საათზედ, ხალხი დიდის ტაშის ცემით მიეგება, მაგრამ პოლიციამ დაუშალა და არ ალაპარაკა, მაშინ მანიფესტაციის მომხდენელნი შეჯგუფდნენ და სამხედრო საკრებულოსკენ წარემართნენ. რესპუბლიკის ცხენოსანმა დარაჯმა გარეკა მანიფესტაციის მომხდენელნი. 10 საათამდე მანიფესტაცია არ შეწყვეტილა. სოციალისტთა ახალგაზდობა ჰყვიროდა სამხედრო საკრებულოს და „Gaulois“-ისა და „Soleil“-ის რედაქციების წინ ჯარის პატივისცემის ნიშნად. სოციალისტთა მეთვალყურე კომიტეტი შეიკრიბა. $10^{1}/_{2}$ საათზედ ბულვარებზედ რამდენიმე ჩხუბი მოხდა. მანიფესტაციებმა და პოლიციის მოხელეთ ერთმანეთს მუშტები დაუშინეს; შუაღამისას მანიფესტაციის მომხდენელნი დაიშალნენ.

პარიჟი. პრეზიდენტმა ფორმა დილით მიიღო ლუბე და დეშანელი, შუაღამისას—ვიცე პრეზიდენტი პალატისა. დაბეჯითებით: ამბობენ, რომ ფორი ყოველსავე ღონისძიებას იღონებს, რათა რაც შეიძლება ჩქარა შეადგინოს ახალი სამინისტრო. ამბობენ მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტად რიბო იქმნება დანიშნულიო.

განცხადებანი

Покупайте только
ЦВѢТОЧНЫЙ
О-ДЕ-КОЛОНЪ,
ИЗОБРѢТЕННЫЙ
Товариществомъ
Брокаръ и К°.
Этотъ о-де-колонъ употребляется какъ духи, туалетная вода и куренія.
Остерегаться поддѣлокъ.
(11—მ—6)

დაიბეჭდა ჲ ისყიდება
„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ამავე საზოგადოების ახალი გამოცემანი:

1) **კრილოვის არაკები,** თარგმანი აკაკისა, მესამე გამოცემა, სურათებით. ფასი 30 კაპ.

2) **ამოდის, ნათდება!** და სხვა მოთხრობები ვაჟა-ფშაველასი. ფასი 15 კაპ.

3) **ვეფხის-ტყაოსანი,** ნაამბობი მოზრდილის ყმაწვილებისათვის გ. იოსელიანის მიერ. სურათებით. გამოცემა მეორე, შევსებული და შესწორებული, ფასი 25 კ. (10—უ.—1)

КЁПЕРСКІЕ СГУЩЕННЫЕ
Желе, Мороженое, Кисель
и Клюквенный квасъ. РАЗНЫХЪ ВКУСОВЪ
ВКУСНО! УДОБНО! ДЕШЕВО!
ПРОДАЖА ВСЮДУ у ВСѢХЪ БОЛѢЕ ЗНАЧИТЕЛЬНЫХЪ ТОРГОВЦЕВЪ.
(3—მ.—2)

სხივი წარსულისა
ისტორიული ამბავი, დაწერილი ყმაწვილებისა და ხალხისათვის იაკობ გოგებაშვილის მიერ, გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. ფასი ერთი შაური. წმინდა შემოსავალი ამ წიგნაკისა მიემატება იმ ფულს, რომელიც იკრიბება განსაახლებლად ცხეთის ტაძრისა. ამ დღეებში წიგნაკი გაეგზავნებათ მთავარ მაღაზიებს დასავლეთს საქართველოში. (6—ნ.—5)

изданіе газеты „Казбекъ“
пріостановленное распоряж. г. Министра Внутр. дѣлъ, на 8 мѣсяцевъ
ВОЗОБНОВЛЯЕТСЯ СО 2-ГО СЕНТЯБРЯ 1898 г.

принимается подписка
на общественную, политическую и литературную газету
„КАЗБЕКЪ“
Условія подписки:
Съ доставкою во Владикавказѣ на одинъ годъ . . 6 рублей.
Съ пересылкою иногороднимъ „ „ „ . . 7 рублей.
Съ сентября по 31 декабря 1898 г. какъ городскимъ, такъ и иногороднимъ подписчикамъ ДВА руб.
Плата за объявленія:
На 1-й страницѣ за 1 разъ 20 к. послѣдующіе разы 10 к. } со строки петита.
На 4-й „ „ 1 „ 10 к. „ „ 5 к. } со строки петита.
Отдѣльный нумеръ 5 коп.
Подписываться можно съ перваго числа каждаго мѣсяца и до конца года. Подписка и объявленія принимаются во Владикавказѣ, въ конторѣ газ. „КАЗБЕКЪ“ у издателя С. І. Казарова. (3—უ.—3)

Дозволено цензурою, Тифлисъ 15 го Октября 1898 г
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე